



22 ივნისი, 2009

## აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების კანონპროექტი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს

არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) წევრი ორგანიზაციები სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავენ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების კანონპროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყანაში მომუშავე როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებზე.

კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა, კერძოდ ოფიციალური რეგისტრაციის მოთხოვნამ, შესაძლოა გამოიწვიოს აზერბაიჯანში გაერთიანებათა თავისუფლების შემდგომი შეზღუდვები. იმ სამოქალაქო ჯგუფებს, რომლებიც იქმნებიან იმისათვის, რომ დაუყოვნებელი რეაგირება მოახდინონ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების შექმნის დროს, შეზღუდვებით თავისი აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება (ფულადი ჯარიმის სახით), სანამ ისინი არ იქნებიან ოფიციალურად რეგისტრირებულები. ეს კი თავის მხრივ ამათს ხდის მოქალაქეთა ნებისმიერ თანამონაწილეობას, ქვეყნისა თუ საზოგადოების ცხოვრებაში.

სხვა ცვლილებები გამოიწვევს არასამთავრობო სექტორის დაფინანსების მკაცრ შეზღუდვას, იმ ქვეყანაში, სადაც არასამთავრობო სექტორისათვის შესაძლოა რესურსები ისედაც ლიმიტირებულია.

არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENEMO) მიიჩნევს, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები შეუქმნის სერიოზულ დაბრკოლებას არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას აზერბაიჯანში. ისეთი ორგანიზაციისთვის, როგორცაა ENEMO - ფოკუსირებული არჩევნების თავისუფალ მონიტორინგზე, თითქმის შეუძლებელი გახდება საქმიანობების განხორციელება აზერბაიჯანში, ზემოთაღნიშნული ცვლილებების შემთხვევაში.

ENEMO მოუწოდებს აზერბაიჯანის კანონმდებლებს გაითვალისწინონ ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სტანდარტები და გაატარონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც არათუ ხელს შეუშლის, არამედ წახალისებს არასამთავრობო სექტორის საქმიანობას ქვეყანაში.

**კონსტანტინ მარზა**  
**გენერალური მდივანი**  
**ENEMO**

არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) წევრი ორგანიზაციები: სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი - ბოსნია-ჰერცეგოვინა, დემოკრატიული გარდაქმნის ცენტრი - მონტენეგრო, თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ცენტრი - სერბეთი, კოალიცია დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის - ყირგიზეთი, უკრაინელ ამომრჩეველთა კომიტეტი - უკრაინა; არჩევნების მონიტორინგის ცენტრი - აზერბაიჯანი, GONG - ხორვატია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - საქართველო, ეს შენი არჩევანია - სომხეთი, LADOM - მოლდავეთი, MOST - მაკედონია, პრო დემოკრატიული ასოციაცია - რუმინეთი, დამოუკიდებელ მონიტორთა რესპუბლიკური ქსელი - ყაზახეთი, ხმა - რუსეთი, Obcianske Oko - სლოვაკეთი, პარტნიორობა - ბელორუსია, დემოკრატიული კულტურის საზოგადოება - ალბანეთი, მონიტორინგის ცენტრი - მონტენეგრო, Viasna - ბელორუსია.